



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №10(24) 2012 წ. 16-31 მაისი ფასი 50 თეთრი

თანობიერი

მუნიციპალიტეტის გამგეობაში



15 მაისი, 2012 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 15 მაისის თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა შალვა ჯაბადარმა, გონა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა,

გიორგი ბეჰიტაშვილმა გამოიკითხეს მუნიციპალიტეტის თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში 9 და 14 მაისს მოსული სეტყვისა და ძლიერი წვიმების შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ და

თითოეულ რწმუნებულს სთხოვეს ზედმიწევნით, სისრულით აღეწუსხათ მიყენებული ზარალი, ინფორმაცია წარმოედგინათ გამგეობის შესაბამისი სამსახურებისათვის. როგორც გაირკვა, 9 მაისს მოსულმა სეტყვამ მხოლოდ ხაშმის, პატარძელის, წვაროსთავის, ნინოწმინდის, გიორგიწმინდისა და საგარეჯოს მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები დააზიანა. 14 მაისს მოსულმა სეტყვამ კი მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ერთეულის ინფრასტრუქტურა მოშალა, ზოგიერთი მოსახლის სახლის სახურავი და საყრდენი კედელიც დააზიანა.

22 მაისი, 2012 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებ-

ლის მოადგილე გონა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი უძღვებოდა. მან მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულებს დაწვრილებით გამოჰკითხა სტიქიისგან მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი. როგორც გაირკვა, სეტყვამ ერთიანად მოშალა თითქმის ყველა ტერიტორიული ერთეულის სასოფლო თუ ცენტრალური გზები, სერიოზულად დაზიანდა როგ ადგილებში სასმელი წყლის მიღები და სათავე ნაგებობები, ასევე, დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, ქვა-ღორღისაგან გადაივსო სარწყავი არხები, სეტყვამ სერიოზული ზიანი მიაყენა მევენახეობას.



კ. გამსახურდია: „ვაზის ყვავილობა – ნამდვილი სასწაული დედამიწისა“ ...
ვაზი ამ დღესასწაულისათვის ემზადებულია

მაისის დასაწყისიდან სეტყვამ უკვე რამდენჯერმე დააზარალა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. მაგრამ ისეთი ზარალი, რაც 14 მაისს, სადამო ხანს მოსულმა სეტყვამ მიაყენა მთელი რიგი სოფლების მევენახეებსა და საერთოდ, მოსახლეობას, კარგა ხანია აღარ ახსოვთ ასაკიან ადამიანებსაც კი. იმ დღეს ისეთი ძლიერი სეტყვა მოვიდა საგარეჯოსა და ნინოწმინდაში, კახეთის გზატკეცილის გასწვრივ კარგა ხანს იდო გაუმდნარი სეტყვა, ზოგიერთ უბანში კი მეორე დღესაც გაუმდნარი იყო სახლების წვიმის წყლის მიღებიდან ჩამოსული სეტყვის გროვები.

აღბათ ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ზიანს მიაყენებდა ამგვარი სეტყვა ვენახებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს. არასრული მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სოფლებსა და საგარეჯოში სხვადასხვა ოდენობით დაისეტყვა 632 ჰა ვენახი. ზოგიერთ მონაკვეთებში კი 90-100 პროცენტითაც სოფლების მიხედვით ეს ზარალი ასე გამოიყურება – ხაშმსა და პატარძელში სეტყვამ ვენახები 30%-ით დააზიანა, ამდენივე პროცენტით დაზიანდა ვენახები შიბლიანსა და მზისგულში, ნინოწმინდასა

და წვაროსთავში. ვენახებზე მიყენებულმა ზარალმა 70% შეადგინა, ქ. საგარეჯოში, გიორგიწმინდასა და ანთოკ-მარიამჯვარში 70-დან 100%-ის ჩათვლით. სულ მთლიანობაში მევენახეებზე მიყენებული ზარალი ყურძნის საშუალო მოსავლიანობაზე გადაინაწილებით, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. აღარაფერს ვამბობთ სხვა კულტურების განადგურებასა და ზარალის შესახებ.

ისმის კითხვა, რა არის მევენახისათვის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? ცხადია, ის ვენახები, რომლებიც მთლიანად დაისეტყვა, მევენახეს წელს მოსავალს ვეღარ მისცემს. მოსავალი კი არა, ასეთებს აღბათ ის უნდა აწუხებდეთ, რომ მომავალი წლისთვის მაინც გამოიტანოს ვაზმა ყლორტი, ხოლო ვენახები, რომლებიც ნაკლები ხარისხით დაზიანდა, როგორც მევენახე-სპეციალისტები გვირჩევენ, სასწრაფოდ უნდა შეწამულიყო გადარჩენილი მოსავლის შესანარჩუნებლად. თუმცა, ამ უხვნადექიანი ამინდების პირობებში, ვენახებს ისედაც ჭირდება წამლობა, რადგან შექმნილია ოპტიმალური პირობები ჭრატისა და ნაცრის გავრცელებისათვის. მაღალი ტემპერატურა და ნადექიანობა ხელს უწყობს ვაზის

ყვავილობის დაჩქარებასაც. შესაბამისად საჭიროა დაჩქარდეს ყვავილობამდე გათვალისწინებული ვაზის მოვლის აგროტექნიკური დონისძიებები – პირველი ფურჩენა, ზედმეტი და უმოსავლო ყლორტების შეცლა, შხამქიმიკატებით წამლობა. სპეციალისტების რჩევით, ვაზის ყვავილობამდე ვენახები სასურველია სამჯერ მაინც შეიწამლოს. აგროწესების მიხედვით

პირველი წამლობა იწყება 9-10 მაისიდან, რასაც 10-14 დღის შემდეგ მეორე წამლობა მოსდევს, მესამე კი ტარდება უშუალოდ ყვავილობის დაწყების წინ. ყვავილობის დამთავრების შემდეგ, მარცვლის გამოხორბლისთანავე ტარდება მეოთხე წამლობა.

დაუშვებელია ყვავილობის დროს რაიმე სამუშაოების ჩატარება. აკი ამაზე ქართველ კაცს უთქვამს კიდევ „ვაზმა ინატრა: ნეტავ ჩემი ყვავილობის დროს ჩემი პატრონი ავად გახდეს, ვენახში რომ ვერ შემოვიდესო“.

გივი დაბახიშვილი



ვაზი ყვავილობისათვის ემზადებოდა. 2012 წლის 14 მაისი

წარსული, აწმყო და მომავალი

ჩვენი მუნიციპალიტეტის

ტერიტორიული ერთეული

ს ა შ მ ი

ალექსანდრე ელვარდშვილი,
მწერალი და საზოგადო მოღვაწე,
ისტორიკოსი



სოფელი ხაშში მთელ საქართველოში ცნობილია თავისი მდიდარი და საოცარი ისტორიული ძეგლების სიმრავლით, თავისი დიდი კულტურითა და გამორჩეული ადამიანებით. ამ სოფლის სიდიადეს მისი ღამაზი მღებარეობაც განაპირობებს. უღამაზესი მდინარე ივრის სანაპიროზე გაშენებული, ბაღ-ვენახებში ჩასმული სოფელი უფალს მხოლოდ იმისთვის შეუქმნია, რათა მნახველს თვალი და გული გაუფხოს მისი სიდიადის ხილვით.

თავად სოფელი ხომ ერთი დიდი და დაუმთავრებელი ისტორიაა თავისი გამორჩეული ადამიანებით. ხაშში საქართველოს გაუზარდა ისეთი გამორჩეული და ბუმბერაზი ადამიანები, როგორებიც იყვნენ საქართველოს დიდი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე, აკადემიკოსი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ალექსანდრე ნათიშვილი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი რევაზ ინანიშვილი, მწერალი და დიდი საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი, პოეტი მიხეილ ქელიძე, მწერლები და დრამატურგები დავით გიორგი და გუგა ნახუცრიშვილები, ცნობილი მსახიობი თამარ ბაქრაძე, მიხეილ ყვარელაშვილი და სანდრო ინაშვილი, ცნობილი პროფესორები: გაიოზ იმედაშვილი, შალვა და ვანო ნახუცრიშვილები, ვახტანგ ქარუმიძე, ელენე კოშორიძე და სხვები.

თითქოს სოფელი ხაშში გამორჩეული მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა სამკვდლო – აკადემია ყოფილიყო, ისე შობს და აფრთხილებს გამორჩეული ადამიანებს... და არა მარტო მათ! ხაშში ცნობილია, აგრეთვე, კარგი მევენახეებით, პურის მომწვანი მხეხელ-მთესველებით, რიგითი პედაგოგებით, ექიმებით, ჟურნალისტებით, მხედართმთავრებით, იმ უბრალო ადამიანებით, ვინც ყოველთვის იღვა სამშობლო – საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე, ვინც უხმაუროდ და უანგაროდ ქმნიდა და ქმნის ქვეყნის აწმყოსა და მომავლის ხვავსა და ბარაქს, მის ისტორიას.

ვიდრე დღევანდლამდე მოვიდოდა, ამ ჭაღარა და უბერებელმა სოფელმა განვლო ბედუკუდმართობა და ქართველთა ბოლო აღსავსე, მაგრამ სახელოვანი გზა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხაშში და მისი შემოგარენი სახსვა საკულტო და თავდაცვითი ნაგებობებით. ეკლესია-მონასტრებისა და თავდაცვითი ციხე-კოშკების სიმრავლე მის დიდ და მდიდარ ისტორიაზე დადასტურებს. ხაშმის მშენებელი სამება-კაწარეთის (VI-VIII სს) დიდებული სამონასტრო კათედრალი, ნათლისმცემელი (IX-XVIII სს), ფეოდალ ნოლოვაშვილების რეზიდენცია (XVI-XIX სს) და მრავალი სხვები.

სოფელ ხაშმის ახლანდელი დასახლება შედარებით ახალია და ზოგადი ნიშნებით უნდა განეკუთვნებოდეს XVIII-XIX საუკუნეებს. მანამდე კი ხაშმელთა წინაპრებს უცხოურიათ უფრო ჩრდილოეთით,

ჯერ სამება-კაწარეთის შემოგარენში, ხოლო უფრო მოგვიანებით მდინარე „ლაფიანხევის“ როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროებზე.

საინტერესოა თვითონ ტოპონიმ ხაშმის ეტიმოლოგიაც. დიდი ქართველი მწერალ-ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ხაშში, ხაშმიანი ნიშნავს – უპაერო, ჩახშულ, ჭაობიან გარემოს“, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით ხაშში, ხაშმიანი ადგილი განმარტებულია, როგორც „ჭაობის ორთქლიანი, ციებიანი ადგილი“. მართლაც, ხაშში ჩაგარდნილ ადგილზეა გაშენებული, სადაც მდინარე ივრის მიდამოებში გაჩენილი ჭაობები მალარიის ბუდეს წარმოადგენდა და მალარიის დაავადებაც უცხო არ იყო ხაშმელთა წინაპრებისათვის. ახლა კი მალარია გამქარაღია და მისი გასხვება ცუდ ასოციაციებს იწვევს.

მდინარე ივრის და ლაფიან ხევის შემოგარენი რომ უსსოვარი დროიდან მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ქართველი ტომების – კუხების, სოჯებისა და ფხოველების ტომებით, ამას იუწყებიან ქართული ქრონიკები და ის ისტორიული ძეგლები, რომლებიც ასე უხვად არის გაბნეული ხაშმის მიდამოებში.

სოფელ ხაშმისა და მისი შემოგარენის ისტორიის ერთ-ერთ უტყუარ წყაროს წარმოადგენს ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“. ამ ისტორიულ წყაროში უშუალოდ ხაშში არ არის მოხსენიებული, მაგრამ დაბა-ქალაქის ტიპის დასახლება „კაწარეთი“ და „ქველ-დაბა“ ხშირად არის მოხსენიებული. მართალია, დასახლებული ტოპონიმები ამჟამად დაუსახლებელია, მაგრამ იქ არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა ძეგლები ადასტურებენ, რომ ოდესღაც, წინა საუკუნეებში, იქ სიცოცხლე ჩქეფდა. თანამედროვე ადამიანებმა ვერ შემოინახეს დანარჩენი იქ არსებული დასახლებული პუნქტების სახელები კაწარეთის გარდა.

კაწარეთი გეოგრაფიულად მდებარეობს სოფელ ხაშმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და 5-8 კილომეტრითაა დაშორებული სოფლიდან. კაწარეთისა და სამების ისტორია იგივე ხაშმის ისტორიაა. ვინაიდან ძველი ხაშმის მოსახლეობა კაწარეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო XVIII-XIX საუკუნეებში თანდათან გადასახლდნენ დღევანდელი ხაშმის ტერიტორიაზე, სადაც ჯერ კიდევ IX საუკუნიდან არსებობდა უდაბნოს ითანე ნათლისმცემლის კუთვნილი მამულები და ბერების სადგომი ნაგებობები. კაწარეთი ადმინისტრაციულად კუხეთის პროვინცია რუსთავის საერისთაოში შედიოდა.

კუხეთს, როგორც ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს ასახელებს აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და მას ასე მოიხსენიებს: „ქვეყანა იორის პირი კუხეთი, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც ივრის მარცხენა მხარეს გაუყვებოდა გომბორამდე“.

ძველი ხაშში, ანუ კაწარეთის VI საუკუნის შუა წლისათვის კუხეთის პროვინციის სუჯეთის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა. რაც შეეხება „მოქცევაი ქართლისაის“ მატიანეში მოხსენიებულ „ქველ დაბას“, იგი მოიაზრება პატარძელის ჩრდილოეთით 5-6 კილომეტრით დაშორებულ ტოპონიმ „ნაქალაქარის“ ირგვლივ, რომელიც ასევე სოჯეთში (სუჯები) იყო დასახლებული და ამ ქართული ტომის ერთგვარ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, მომდევნო საუკუნეებში აგრესიული ომების

დროს მოისპო და გადაშენდა ეს დაბა თუ ქალაქი.

„მოქცევაი ქართლისაის“, როგორც ჭელიშური, ისე შატბერდული რედაქციები და ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ წმინდა ნინოს სამისიონერო მარშრუტში კაწარეთის შემდეგ მოიხსენიებს სუჯეთის დიდ დასახლებას „ქველ (ქველ) დაბას“, რომელიც ჩვენი ვარაუდით უნდა იყოს პატარძელის ჩრდილოეთით 5 კილომეტრის დაშორებით ტყიანი ადგილი „ნაქალაქარი“; ეს დასახლებული პუნქტი სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდა, მცხეთიდან და თბილისიდან კახეთში მიმავალი გზის მთავარ მონაკვეთზე. ტოპონიმ „ქატი“ მახლობლად მდინარე „ლაფიან ხევის“ მარცხენა სანაპიროზე.

თუ ადრეულ შუასაუკუნეებში ხაშმი-კაწარეთი აქტიურ როლს ასრულებდა ქართლის (საქართველოს) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, წყაროების უმარისობის გამო თავს შევიკავებთ კომენტარებისაგან და შევხვებით, თუ რა ხდებოდა შუა საუკუნეების მეორე ნახევარში კაწარეთ-ხაშმის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენი რაიონის მკვიდრმა, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ხაშმის მცხოვრებმა მწერალმა და დრამატურგმა დავით ნახუცრიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი და გაარკვია, რომ „კაწარეთი“ იგივე ხაშშია, რომ მართალია ხალხს დავიწყება კაწარეთის ხსენება და ახლა ამ ძველ დასახლებას სამებას ეძახიან.

დ. ნახუცრიშვილს მოჰყავს ერთი ლექსი, რომელიც ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მოდის.

როდესაც ვახტანგ გორგასალი თავისი ლაშქრით ოსეთში მიდიოდა, ოსების მიერ დატყვევებული დის გამოსახსნელად, ღამის სათევად კაწარეთში შეჩერებულა და იქ დაუფიცია, თუ ამ ომში გაემარჯვება, ამ ადგილზე ტაძარს ავაშენებო. ეს პირობა ვახტანგ გორგასალს შეუსრულებია და V საუკუნის დასასრულს საეპისკოპოსო კათედრალის მშენებლობა წამოუწყებია, მაგრამ ისე გარდაეცვალა, რომ ვერ მოასწრო ტაძრის მშენებლობის დასრულება. მისი ანდერძი მის შვილს დანის შეუსრულებია და ტაძრის მშენებლობა V საუკუნის პირველ ნახევარში, კაწარეთის საეპისკოპოსო კათედრალი – სამების სახელზე დაუმთავრებია და იქ კაწარელი მღვდელმთავარი დაუსვამს.

სამება-კაწარეთის საეპისკოპოსო კათედრალმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში და როგორც დამოუკიდებელმა კათედრალმა იარსება 1765 წლამდე.

სამება-კაწარეთის კათედრალი მთელს გარე-კახეთში წარმოადგენდა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, რომლის მღვდელმთავარმა, მთავარეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა დიდი როლი შეასრულა ქართულ სამწიგნობრო საქმეში. მან 1730-იან წლებში დიდი ჯაფისა და ხიფათის თავსატეხს – „დეკიანობას“ დააღწია თავი და მოსკოვში შეუერთდა საქართველოდან გახიზნულ ვახტანგ VI-ის 1200 კაციან ამაღას. იგი დასახლდა ქართულ კოლონია ვსესვიატსკოეში. იოსებ სამებელმა ვახტანგ VI-ის ვაჟიშვილ ბაქართან ერთად ქართული სტამბა მოაწყო და ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა დაიწყო. აქ დაიბეჭდა პირველად ქართული ბიბლია. იგი ქართული წიგნის ბეჭდვასთან ერთად ეწეოდა სხვა ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც.

რაც შეეხება ახალ ხაშმს და იქ არსებულ ითანე ნათლისმცემლის ეკლესიას, რომელიც დავით გარეჯის ითანე ნათლისმცემლის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა, იგი მთელი XVIII და XIX საუკუნის ბოლომდე წარმოადგენდა დავით გარეჯის ითანე ნათლისმცემლის მონასტრთან არსებულ სასულიერო სკოლის ერთგვარ ფილიალს. ამ სკოლამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის (პირველ რიგში ხაშმისა და ახლო-მახლო სოფლებში) პირველდაწყებითი განათლების მიღების საქმეში.

სწორედ აქ, ხაშმის ნათლისმცემელთან არსებულ სკოლაში მიიღო პირველდაწყებითი განათლება დიდა ქართველმა მამულიშვილმა და ილია ჭავჭავაძის მეგობარმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ.

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა 1826 წლის 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს) თბილისის მაზრის სოფელ ხაშში, მღვდლის ზაქარია ბაქრაძის ოჯახში. დიმიტრი ბაქრაძის პაპა ანდრია ლეკებს მოუტაციათ ქართლიდან, სოფელ ოსიაურიდან და დაღესტანში წაუყვანიათ. მისი საბრალო დედა, რომელსაც მის მეტი შვილი არ ჰყავდა და ქერი იყო, ფეხით წასულა შვილის გამოსახსნელად, გამოუვლია მთელი ქართლი, კახეთი, დაღესტანში მოუძებნია თავისი შვილის გამტაცებელი, შეხვეწნა შვილი დაებრუნებინა. მას გამოსასყიდი ფული არ ჰქონია და გამტაცებლისათვის უთხოვია, თუ შვილს არ დაუბრუნებდნენ, თვითონაც ტყვეობაში დაეტოვებინათ. გამტაცებელ ლეკებს შეცოდებითა გაუბედურებულნი ქალი და შვილი დაუბრუნებიათ. დედას შვილი საქართველოში წამოუყვანია. ხიფათითა და საშიშროებით სავსე გზა გამოუვლიათ და ყვარელში ჩამოსულან. იქ ცოტა ხანს დაუსვენიათ და გომბორის უღელტეხილის გამოვლით სამება-კაწარეთში ჩამოსულან. არაქათი ისე ჰქონიათ გამოცდილი, რომ სიარული აღარ შეძლებიათ. სამება-კაწარეთის ბერებს წინადადება მიუციათ, ხაშურამდე ვერ შეძლებთ სიარულს, აქ დარჩით და მონასტრის ულუფაზე შეგინახავთ, აქ დაგასახლებთ და აქ იცხოვრეთო. ილაჯდაწვევით დედას სხვა არჩევანი არც ჰქონია და კაწარეთში დარჩენილია შვილიანად. ბერებს პატარა ანდრია ხაშმის ნათლისმცემლის სასულიერო სკოლაში მიუბარებიათ და პირველდაწყებითი განათლებაც მიუციათ და ხაშში დაუსახლებიათ, მღვდლად უკურთხებიათ და ხაშმის მცხოვრები თვედორაშვილების ქალი შეურთათ ცოლად. ანდრიას მალე შვილიც შესძენია – დიმიტრის მამა ზაქარია, რომელსაც ასევე ხაშმის სამონასტრო სკოლა დაუმთავრებია და ისიც მღვდლად უკურთხებიათ.

საოჯახო ტრადიციის მიხედვით პატარა დიმიტრიც ხაშმის ნათლისმცემლის სამონასტრო სკოლაში მიუბარებიათ, სადაც ნიჭიერ ბავშვს მალე შეუსწავლია წერა-კითხვა, საღვთო სჯული და ისე კარგად დაუფლენია ნუსხა-ხუცურ დამწერლობას, რომ პატარა დიმიტრი მედავითნედ დაუნიშნავთ. პატარა დიმიტრიმ ჯერ კიდევ ნათლისმცემლის სამონასტრო სკოლაში გამოამუღავნა სწავლის დიდი სურვილი. ამის გამო 1841 წელს 9 წლის ბავშვი მამამ – ზაქარიამ თბილისში ჩაიყვანა და გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. თბილისის სასულიერო სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დიმიტრი ბაქრაძე ჩაირიცხა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1850 წელს კანდიდატის ხარისხით, რაც I ხარისხის დიპლომს ნიშნავდა.

დიმიტრი ბაქრაძე 1852-1857 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა გორის საბაზო სასწავლებელში. იგი დიდი მონაწილეობით ასწავლიდა ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიას. დიმიტრი ბაქრაძემ ამ წლებში გაზეთ „აკვავაში“ გამოაქვეყნა ათამდე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი. მის წერილებს დიდი შეფასება მისცა დიდა ფრანგმა მეცნიერმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია

წარსული, აწმყო და მომავალი

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეული ს ა მ მ ი



ნიკო ნახუცრიშვილი

ბაბრქელაბა

ვია: „საქართველოს ისტორიული მიმოხილვა“ (1871 წ.), „მირიან მეფე და წმინდა ნინო“ (1879 წ.), „პონტოს მეფე მითრიდატ დიდი“ (1880 წ.), „ბაგრატ IV“ (1880 წ.), „ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისი“ (1881 წ.), „ვახტანგ VI“ (1880 წ.), „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“ (1884 წ.), „საქართველო ანდრია მოციქულის დროს“ (1884 წ.), „დამატება ვახუშტის საქართველოს ისტორიის უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე“ (1889 წ.), „ქართველი ქალები“ (1891 წ.) და სხვა. გარდა ამისა, დიმიტრი ბაქრაძემ თბილისსა და პეტერბურგში 1870-1887 წლებში რუსულ ენაზე გამოსცა 5 წიგნი, რომლებშიც საქართველოს ისტორიაა მოთხრობილი.

დიმიტრი ბაქრაძემ 1858 წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ.

დიმიტრი ბაქრაძემ 1861 წელს გადმოიღო თბილისში და თანამშრომლობას იწყებს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში. ამ დაწესებულებაში მუშაობის დროს დიმიტრი ბაქრაძემ დიდი მუშაობა გასწია ქართველ ხალხში ეროვნული გრძობის აღორძინებისა და გამოღვივების საქმეში. 1878 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში.

ცალკე განხილვის საკითხია ქართველი ხალხის ეროვნული განმათავისუფლებელი მებრძოლების ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ბაქრაძის დიდი თანამშრომლობის შესწავლა.

დიმიტრი ბაქრაძემ წლების განმავლობაში იყო დიდი ილიას ერთგული მრჩეველი და კონსულტანტი საქართველოს ისტორიის საკითხებში. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ მტკივნეულად აღიქვა დიდი ისტორიკოსის უდროო გარდაცვალება.

დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1890 წლის 10 თებერვალს თბილისში. იგი დიდი საყოველთაო გლოვით დაკრძალეს 13 თებერვალს საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთონში. საფლავში ჩასვენების დროს მშობლიურ სოფელ ხაშმის სიმღერის გუნდმა შეასრულა ურუხანტლისმომგვრელი გამოსათხოვარი სიმღერა. დიმიტრი ბაქრაძის სასახლეს ამკობდა 50 დიდი გვირგვინი, მათ შორის გამოირჩეოდა ილია ჭავჭავაძისაგან მიძღვნილი გვირგვინი. მას ამჟღავნებდა წარწერა: „საფლავი შენისთანა კაცისა საღვთავია მამულისა“.

სოფელ ხაშმის გამორჩეულ უამრავ მოღვაწეთა შორის არ შეიძლება დიდი პატივისცემით არ გავიხსნათ თვითნასწავლი გლეხი, მოღვაწე, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე პიროვნება იოსებ იმედაშვილი, რომლის სხივნათელი სიოვნა არასოდეს დაიბნდება. ვერც დავით ნახუცრიშვილსა და რეზო ინანიშვილს დაივიწყებს მაღლიერი ქართველი ხალხი.



ნიკო ნახუცრიშვილი

ხაშმის რწმუნებულია ნიკო ნახუცრიშვილი

დაიბადა 1972 წელს, სოფელ ხაშმში. 1989 წელს ხაშმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის მეხუთე პროფესიულ სასწავლებელში განაგრძო.

1990 წლიდან სწავლობდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგროსანიწარმო ფაკულტეტზე. 1993 წლიდან თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, რომელიც 1995 წელს დაამთავრა.

1996 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა სოფელ ხაშმის კომუნალური სამსახურის უფროსად.

შემდეგ იყო სოფლის რჩეული – დეპუტატი საგარეჯოს რაიონის საკრებულოში. 2010 წლის თებერვლიდან კი ხაშმის რწმუნებულია.

ჰყავს მეუღლე, ნათია კაჭკაჭიშვილი, ხაშმის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, შვილები:

16 წლის ტატო და 13 წლის ანა – ხაშმის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ხაშმის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ნიკო ნახუცრიშვილია.

დაიბადა 1950 წელს, სოფელ ხაშმში. 1967 წელს დაამთავრა ხაშმის საშუალო სკოლა.

1969-1971 წლებში იმყოფებოდა სამხედრო-საავადმყოფო სამსახურში.

1971 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1972 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და 1987 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

1993 წლიდან საქართველოს საგარედასახლო ინსპექციაშია, სადაც იმუშავა 2000 წლამდე.

2010 წლის მაისიდან კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

დღეს ჩვენი რესპოდენტები ორივე ერთად არის და სოფლის დღევანდელი ბაზუ, მის პრობლემებზე ერთნაირად მსჯელობენ, ერთად გვესაუბრებიან.

– სოფლის საერთო ფართი.

– სოფელს 3350 ჰექტარი უკავია, აქედან საკარმიდამო ნაკვეთს – 650 ჰექტარი, სახნავ-სათესს – 1160, საძოვარს – 777, ვენახს – 220 ჰა.

– კომლთა რაოდენობა, მოსახლეობა?

– ხაშმში 830 კომლია. აქედან 270 კომლი სოფელთან კავშირგაჭკვეტილია. სულ 1500 კაცია.

– სოფელი ხშირად უბნებად არის დაიშაბარებული?

– დიას, სოფელში გვაქვს „ნიკოლაანთ უბანი“, „წითლობის უბანი“, „სკოლის უბანი“, „ხემოუბანი“, „აჭარლების უბანი“ და რაც მთავარია – „სოფლის ცენტრი“.

– ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობას შეხვედრები ჰქონდათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელთა წინაშეც ის საკითხები უნდა დაეყენებინათ, რაც მიზანდასახულად 2012 წელს სხვადასხვა პროგრამებით განხორციელდება. მაისის დასაწყისში თქვენს სოფელს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად კახეთის მხარის გუბერნატორი და ქვეყნის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატიც ეწვია...

– დიას, მარტში ჩვენი მოსახლეობის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გონა ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ბუხარიაშვილი შეხვდნენ. შეხვედრაზე დაისვა ის საკითხები, რომლებიც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით შეიძლება მოგვარდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სასმელი წყალი. მაისში კი, როგორც თქვენც აღნიშნეთ, კახეთის მხარე-მიქვეყნის პრეზიდენტის რწმუნებულის გიორგი ღვინიაშვილის სტუმრობა ჩვენს სოფელში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, მართლაც შედეგიანი აღმოჩნდა.

– რას უწოდებთ „შედეგს“?

– სოფელ ხაშმის მოსახლეობის დიდ პრობლემას სასმელ წყალთან ერთად წარმოადგენს ელექტროენერჯის მიწოდება. მოგეხსენებათ ელექტროსერვისის კომპანია კერძოა და თვითნებობაც მეტი შეიძლება გამოიჩინოს ასეთ დროს მფლობელმა. ახლა რა იგულისხმება ამ მიწოდებაში, იცით?! ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძები 1965 წლიდან არ შეცვლილა. მოგეხსენებათ, ზოგს ძირი გამოეთხარა, ზოგი უკვე პაერში თავად ელექტროგადამცემ ხაზებსდა უჭირავს. წვიმაზე და პატარა ქარზე დენი ითიშება. იქმნება ელექტროსადენების მიწაზე ჩამოვარდნის საშიშროება. ხშირად ხდება ე.წ. ელექტროგადამცემი ჯისურების აფეთქება, გადაწვა. ეს პრობლემები მოსახლეობის წარმომადგენლებმა ბატონ გიორგი ღვინიაშვილსაც შეჩივლეს. მეორე დღევე მოვიდნენ „ელექტროსერვისის“ წარმომადგენლები და შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა ე.წ. დენის გადამცემი ჯისურების შესაცვლელად, ამასთან სიცოცხლისათვის საშიში ელექტროგადამცემი ბოძების (დაახლოებით) 15-16 ცალის) შეცვლაც მაღე დაიწყება. ამ საქმეების მოგვარებაში კი ჩვენი მოსახლეობაც წავახმარებთ ხელს. გვირდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ვთქვათ ჩვენი სათქმელი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავისი განკარგულებით, რომელიც ითვალისწინებს ელექტროენერჯის ღირებულების გადაუსდგელობის გამო ქსელიდან ამოთიშვების გაუქმებას და წინა დავალიანებების ოქტომბრის შემდეგ კი თებერვლის თვის ჩათვლით გაუქმებას, მართლაც სასიკეთო საქმე გააკეთა – მოსახლეობა ერთმანეთს აღარ უპირისპირდება საერთო მრიცხველზე გადასახდელი თანხის უკანონოდ დარიცხვის გამო. ამასთან, ყველას აქვს თავისი „ძველი“ ელექტრომრიცხველი, რომლითაც ისინი სოფლის გამრიცხველიანობამდე ისარგებლებენ.

– თქვენ ახლახანს საუბარში ახსენეთ სასმელი წყლის პრობლემა, რომელიც პრიორიტეტულ საკითხად იქნა დაყენებული მოსახლეობის მხრიდან. საინტერესოა, რაც ხაშმში ამ კუთხით გაკეთდა, კიდევ

თუ დარჩებოდა რაიმე გასაკეთებელი?

– დავიწყოთ იქიდან, რომ 2007 წელს ხაშმში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობას გაუკეთდა დამცავი ჯებირი. მანამდე თოვლისა და წვიმის წყალი პირდაპირ ჩადიოდა და წყალი ისე იმღვრებოდა, გამოუყენებელი ხდებოდა. დამცავმა ჯებირმა კი წყლის ხარისხიც გააუმჯობესა და მიღებაც დაიცვა დაზიანებისგან. 2008 წელს აქ სასმელი წყლის შიდა ქსელის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა, რაზედაც 13200 ლარი გაიხარჯა. 2010 წელს მოხდა სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, რაზედაც 26700 ლარი გაიხარჯა. 2011 წელს 25266 ლარი გაიხარჯა ხაშმის სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო საქმეში. ასევე, 40 ათასი ლარი მოხმარდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას.

ხაშმის სასმელი წყლის სათავე-ნაგებობიდან გამოსული წყლის თუჯის მიღები, მთლიანი მაგისტრალი გასული საუკუნის 50-იან წლებში იყო გაკეთებული. დროთა განმავლობაში იგი დაზიანდა, ამიტომ პლასტმასის მიღებით შეიცვალა. გასულ წელს ე.წ. „ლაფიან ხევზე“ 300 მეტრი სიგრძის მილი ამოიცივლა. ეს მილი საპაერო გზით გადმოდიოდა, რადგან საყრდენი წვიმისა და თოვლის წყლებმა გამოაცალეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ნახევარ სოფელს წყალი გრაფიკით მიეწოდება, ნახევარს კი უგრაფიკოდ ვერ მიეწოდება. სოფელს 200 ტონიანი ემალირებული ავზი აქვს, რომლის გავსებას მხოლოდ 4 საათი სჭირდება. იქიდან სოფელს ორი ხაზით 220 მილიმეტრისა და 160 მმ-იანი სასმელი მილებით მიეწოდება წყალი. 220-იანით 1200 ტონა შემოდის 24 საათში, 160-იანით ათასი ტონა. ეს რაოდენობა – 2200 ტონა (830 კომლს მიეწოდება) ორი სოფლის მოსახლეობას რომ ეყოფოდა თავისუფლად, ამაში ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ რად გინდათ?! მოსახლეობა უყარათოდ ხარჯავს წყალს. ყველა საუბრო ონკანი ან ზიანდება მათ მიერ, ან წყალი მიშვებული აქვთ. ასეთივე მდგომარეობაა კერძო ონკანებზეც – თითქმის არავის ენანება უმიზეზოდ მოშვებული ონკანიდან დიდი წნევით გადმოსული სასმელი წყალი. ამიტომაც არის, რომ წყალი ბოლო წერტილამდე ვერ აღწევს. ამასთან, აქ სიმაღლის დონეთა სხვაობაც ისეთია, რომ თვითინებში 30 ოჯახში წყალი ვერ ადის. მიზეზი?! ისევე და ისევე წყლის უყარათოდ ხარჯვა.

– გამოსავალი რაში შეიძლება იყოს?

– ამ ოჯახებამდე, ამ უბნებამდე ან სხვა ხაზი უნდა გაიჭიმოს, ან გამრიცხველიანობა დაიწყოს. როცა აღირიცხება თითოეული ოჯახის მიერ მოხმარებული სასმელი წყალი, იქ აღარ იქნება წყლის დანაკარგი. წვიმების დროს სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგება იწყება სოფელში – აღარ სჭირდებათ ბაღ-ბოსტანის, ვაზის მოსარწყავად.

– თქვენი საუბრიდან ისე გამოდის, რომ სასმელი წყალი არის, ოღონდ ყარათიანი მოხმარება სჭირთ.

– ეს სწორედაც რომ ასეა.

– სარწყავი წყალი?

– სარწყავი წყალი ჩვენთან პრობლემა არ არის, მხოლოდ ერთ ადგილზე გასაწმენდი, ისიც მხოლოდ ტექნიკით იქნება შესაძლებელი. დანარჩენ ადგილებს ჩვენ

წარსული, აწმყო და მომავალი

ჩვენი მუნიციპალიტეტის

ტერიტორიული ერთეული

ს ა მ მ ი

დასასრული

თვითონ ვუვლით, ვწმენდთ. მოსახლეობის ერთი ნაწილი ამაზე უარს არ ამბობს. შარშან 22 კაცი გამოვიდა მის გასაწმენდად.

- ბუნებრივი აირის შემოყვანა დაიწყო სოფელში...

- დიახ. სოფელში ცენტრალური მილგაყვანილობა დამთავრებულია, ის, რაც პროექტით იყო გათვალისწინებული. სოფელში 3 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთიდა გასაკეთებელი. ასმა ოჯახმა უკვე გააკეთა გაყვანილობა.

- ასი ოჯახი ცოტაა.

- ცოტაა, მაგრამ მსურველები თითქმის აღარც არიან.

- მიზეზი?

- ძვირი უჯდებათ. 400-დან 800 ლარამდე.

- მოხმარებული გაზის ღირებულებაც სხვადასხვააო, რატომ?

- დიახ. ერთი კუბური მოხმარებული გაზი 0.45 ლარი უჯდება მათ, ვინც „საგარეჯო-გაზთან“ დადო ხელშეკრულება გაზაყვანილობის სახელში შეყვანაზე. 0.60 ლარია მისთვის, ვისაც „სოკარის“ კომპანია მოემსახურა. თუ დარეგულირდა ფასები, მაშინ სხვებიც ისარგებლებენ ამ სიკეთით.

- სასოფლო გზები...

- გასულ წელს 2 კილომეტრი მოსაფალტდა, ერთი ნაწილი წინა წლებში მოსფალტდა. ცენტრალური ავტომობილტრალიდან ჩვენს სოფლამდე 4,5 კმ-ია. სოფელში სასოფლო გზების მთლიანი სიგრძე 14 კმ-ია. აქედან ნაწილი მოხრეშილია, ნაწილი კი, ე.წ. „ყარაბულახთან“, აჭარლების დასახლებასთან და სასაფლაოს მიმდებარე გზები - მოსახრეში. გასულ წელს 35 ათასი ლარის სამუშაოები ჩატარდა ცენტრალური ავტომობილტრალიდან სოფლამდე მისასვლელი ასფალტისაფარიანი გზის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის.

- „რა საჭიროა გზა, თუ ტაძრამდე არ მიდისო“.

- სოფელში მოქმედი ეკლესიებია წმინდა ნიკოლოზის სახელობის და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები. „სკოლის უბანში“ გვაქვს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელშიც მხოლოდ ნათლისმცემლობისას ტარდება წირვა. კაწარეთის წმინდა სამების მამათა მონასტერი კი, მოგესხენებათ, ფუნქციონირებს და მთავრებისკოპოსის რეზიდენციაც იქ არის განთავსებული. აი, გზა კი ნამდვილად ძნელადმისასვლელია სამების მონასტერშიც და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიამდეც.

- საბავშვო ბაღი, აღსაზრდელები...

- ბაღის შენობის ჭერი დაზიანებულია, კედლებიც ზიანდება. ბაღის შენობა მთლიანად გასაკეთებელია. 8 თანამშრომელი 30 აღსაზრდელს ემსახურება. ბაღის მენეჯერის მოვალეობას ელენე ოდრაპიშვილი ასრულებს.

- დღეს სკოლაში დიდი, მასშტაბური გარდაქმნები დასახული. როგორ პასუხობს ყოველივე სიახლეს დღეს ხაშმის საჯარო სკოლის შენობა.

- სკოლის მენეჯერია გამოცდილი პედაგოგი ეკა გოგელია. სკოლის 181 მოსწავლის აღზრდას 25 პედაგოგი ემსახურება. სკოლა გარემონტდა. შეიცვალა კარფანჯარა, იატაკი, მაგრამ სპორტდარბაზს ნამდვილად ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება. დარბაზს იატაკიც კი არ აქვს, რაც სირთულეებს ქმნის - რეპტილების ხშირი სტუმრობის მიზეზი ხდება.

- საექიმო ამბულატორია უნდა პასუხობდეს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რასაც ჯანდაცვის სფეროს წინაშე აყენებს დღევანდელი...

- საექიმო ამბულატორია დღეს ნაქირავებ შენობაშია. დიდი სურვილი გვაქვს იგი გამკვობის შენობაში გადმოვიტანოთ, გამკვობის ადმინისტრაციულ შენობაში შეიძლება გარემონტდეს ოთახები და აქ დაცული იქნება იგი. დღეს ხაშმელთა მადლობას იმსახურებენ ექიმები მაია კვეციანიშვილი და თინიკო ციქურიშვილი. ისინი სწორედ ისეთი ექიმები არიან, რომ-

- ისევე, როგორც ყველა კახელი, ხაშმიც შეგვენახვობას მისდევს და საკმაოდ წარმატებულიაღაც. ღვინო

- ხაშმის საფერავი საქართველოში და საერთოდ, მსოფლიოში ცნობილია...

- დიახ. ხაშმელები ძირითადად მიწასთან არიან შეკრებულნი. მხოლოდ ხაშმურ საფერავს ნუ აქვთ. ხაშმელებს ისეთი ბოსტნეული - კიტრი და პომიდორი მოჰყავთ ამ დალოცვილ მიწაზე, რომ ბაზარში, სადაც ჩვენებური კიტრი და პომიდორი შედის, იქ ამ სახის ბოსტნეულის რეალიზაცია მანამდე ჩერდება, სანამ ხაშმური ბოსტნეული არ გაიყიდება.

რაც შეეხება საფერავს, მას დიდი ხნის ისტორია აქვს, მისი „ბიოგრაფია“ თამარ მეფიდან მოდის. მან ბერები გამოგზავნა აქ საფერავის ჯიშის ვაზის დასათესად. შემდეგ კი ვიცით, რომ აქ ბერები უვლიდნენ საფერავს. ახლაც ჰქვია ადგილს „ბერებიან ზვარი“, საიდანაც მიღებული მოსავალი უდაბნოში, დ. გარეჯში არსე-

კაწარეთის სამება



საწარმო ფუნქციონირებს და იქ არის ზოგიერთი დასაქმებული. ადრე ასფალტის ქარხანა ფუნქციონირებდა, მაგრამ ახლა უმოქმედოა. ამიტომაც მიეჯაჭვა აქაური კაცი მიწას - მარჩენალს.

- სოციალურად დაუცველთა ბაზაშიც იქნებიან შესაბამისად გაერთიანებული.

- 80 კაცი იყო, მაგრამ გადამოწმების შემდეგ ეს რიცხვი ალბათ შეიცვლება და დაზუსტდება.

- ქართულ ჯარში...

- ექვსი ხაშმელია დღეს.

- ხაშმის ბევრი გამორჩეული შეილი ჰყავს, იოსებ იმედაშვილით, დიმიტრი ბაქრაძით დაწყებული, თუმცა, იქნებ მანამდეც იყვნენ...

- ასეა. აბა, ხაშმის საფერავი ვინ მოიტანა ჩვენამდე, ისინი ყველანი ხომ ხაშმის გულშემატიკორები, დამცველები იყვნენ?! დღეს იოსებ იმედაშვილის სახლ-მუზეუმი შევლას ითხოვს... დიმიტრი ბაქრაძის სახლზე კი ზემოთ გვქონდა უკვე საუბარი. ჩვენ მგალობელთა გუნდიც გვყოლია, რომლებიც დიდი პოეტის აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე იყვნენ და მათმა გალობამ აღფრთოვანებაში მოიყვანა ყველა, ვინც კი მოისმინა.

ჩვენ კი არა, მთელი საქართველო ამყოფს იმით, რომ ჩვენი სოფლიდან 7 აკადემიკოსია გამოსული, პროფესორები, პედაგოგები. დავიწყეთ ისევე იოსებ იმედაშვილითა და დიმიტრი ბაქრაძით. თემურ ჯაგორდინიშვილი, გოგი ყორმელაშვილი, შალვა და ივანე ნახუცრიშვილები, თეხიკო თევაძე, გია ნახუცრიშვილი, ალექსი ქისტაური, რეზო ინანიშვილი, ვახტანგ ქარუმიძე, გურამ ლოლაძე, ჯიმშერი და ელენე კოშორიძეები, სპირიდონ ქოქრაშვილი, ნოშრევან ქოქრაშვილი, ვარდიკო ნიკოლაშვილი (ეს უკანასკნელი სამი დღესაც საამაყო პედაგოგების სახელით რჩებიან თანასოფელთა სსოვნაში).

- სამომავლო გეგმებზე რას გეგმავთ, 2012 წელს რა გაკეთდება ხაშმში?

- 2012 წელს „სოფლის განვითარების“ პროგრამით მოხდება სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია, აუცილებლად არის ამოსაცვლელი 670 მეტრი და 120 მეტრი ნაწილობრივ, რასხედაც 332859 ლარია გამოყოფილი. ასევე, სასოფლო გზაზე ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით (39249 ლარი) მოეწყობა სანიადვრე არხი,

მოსახლეობასთან შეხვედრისას საქართველოს პარლამენტის წევრი ზაზა გულაკაშვილი სკოლის ეზოში არსებული სტადიონის გარე განათებას შეჰპირდა ჩვენს ახალგაზრდობას, ასევე იგი „აჭარლების უბნის“ მისასვლელი გზის მოხრეშვას დაპირდა აქაურ მოსახლეობას, ვნახოთ. ☺



შენახვარა კახეთის მხარის გუბერნატორთან და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან.

ლებიც ექიმის ფიცს არასოდეს დაღატობენ. ადრე, ათეული წლების წინ დიმიტრი ბაქრაძის სახლში იყო საექიმო სტაციონარი, სადაც 10 საწოლზე იყო პალატა და ხაშმელები ხშირადც მკურნალობდნენ სტაციონარულად. დღესაც იმ სახლში საექიმო ამბულატორიის გადატანას ითხოვს მოსახლეობა. ვნახოთ...

ბულ იოანე ნათლისმცემლის მონასტერს ეწოდებოდა. ჩვენთან სახელწოდებით „სამებისან არხიც“ არის სარწყავი სისტემის ერთ-ერთი ნაწილი. „ყარაბულახის“ ზვარში მოწყული მოსავალი - საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინო საბარძიმე ღვინოდ იწოდებოდა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებში იგზავნებოდა. აქ კომუნისტების დროსაც ფუნქციონირებდა ღვინის ქარხანა, სადაც ღვინოს - ხაშმის საფერავს აყენებდნენ. შემდეგ ის „ემემბი“-ს სახელწოდებით საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შევიდა, თუმცა დღეს უფუნქციოა.

ისე, ღვინოზე ვსაუბრობდით, ხაშმის საფერავზე, რომელიც იაპონელებმაც კი შეისყიდეს თურმე ხიროსიმასა და ნაგასაკე ატომური ბომბების აფეთქების შემდეგ - რადიაციის საწინააღმდეგოდ. რაც იმას ნიშნავს, რომ მას ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგოდ იყენებენ. გადმოცემით ვიცით, რომ ორსულ ქალს თვითონ ოჯახის წევრები გარკვეული დოზით აძლევდნენ, ამასთან ბავშვსაც, მოხუცსაც დადგენილი ნორმით. საფერავის ჯიშის ყურძნის სიტკბო 22 გრადუსზე არ აღის, სხვა შემთხვევაში



შენახვარა კახეთის მხარის გუბერნატორთან და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან.

ანა მამული სარჩაუნოძე

საუკუნის ტკივილი — საღვთო ნიშნა აღვიღა ჩინიტი, გერტუბანი, უდაბნო



დავით გარეჯის სამჯერ მოლოცვა იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მოლოცვის ტოლფასიანობა მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგობაშია.

ყოველ წელიწადს რომ არ მოილოცოს, თაყვანი არ სცეს წმინდა დავითის საფლავს, არ შეუძლია. დაინტერესება ამ უდიდესი კომპლექსის მიმართ კი ბოლო დროს მხოლოდ ქართველი მომლოცველების როლია. აქ, თბილისთან ახლომდებარეობის გამო, არაერთი ტურისტული ჯგუფი ჩამოდის ყოველკვირეულად — ჩვენი კულტურის, ჩვენი ისტორიის გასაცნობად. არ ახალია და ძველია, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსს და მითუმეტეს — ჩინიტიურს გადამოთვლება გვედავებოდა, თავად ქართველ მართლმადიდებელ მრევლს ხელს უშლიდა იმ წმინდა ადგილების მოლოცვაში, რომელიც ქართველი კაცის ხელით არის აგებული-აშენებული, მამაპაპეულ, სისხლით მორწყულ მიწაზე. ჯერ იყო და 2005 წლის 31 აგვისტოს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააბრკილეს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯანდარის სასაზღვრო კომენდანტურაში წაიყვანეს „ჩინიტიურის“ კოშკის სარესტავრაციო

სამუშაოებზე მყოფი რესტავრატორები და დავითის ლავრის წინამძღვარი მამა მაკარი, მასზე წინ კი ქართველი ჟურნალისტები ხელბორკილადებულები 3 დღე საპატიმროში ჰყავდათ გამოწყვედილი. ახლახანს კი, ვითრუბა დღეს, 6 მაისს, 12 საათსა და 30 წუთზე, უდაბნოს მონასტრის ორივე ჩასასვლელი დაიკავეს ადვოკატის და სამარტვილე ტაძრებთან. ტაძრებთან 5-5 კაციანი ჯგუფები დადგნენ და ჩვენი მესაზღვრეების თქმით მათ ტყვიამფრქვევიც ჰქონიათ.

ჩვენი წინა თაობების გულგრილობამ, უმოქმედობამ, არხეინობამ, ჩინიტიურის კოშკი და უდაბნოს მონასტერი ჯერ ბუფერულ ზონად აქცია საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის და ახლა, დღეს კი, უკვე საზღვარი აქ „გაპყავით“ აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს თავიანთი ხელისუფლების დაავლებით, ბუფერულ ზონად კი უკვე დავით გარეჯის ლავრა „იქცა“. აქამდე თუ ქართველების ტყივლი ამ სამონასტრო კომპლექსის ნგრევა-განადგურება იყო რუსის ჯარის პოლიტიკის გამო, ახლა ფიზიკურადაც ვკარგავთ მას. სწორედ ჩინიტიურის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საქართველოს კუთვნილებაზე გვესაუბრება დღეს **საქართველოს ისტორიისა და ძეგლების დიდი ქომაგი, ისტორიკოსი ალ. ელმერჯაშვილი:**

როდესაც რუსეთმა დაიწყო კავკასიური ომები, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების პარალელურად შეუდგა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოების დაპყრობასაც და ისინი გუბერნიებად გადააკეთა. ასე იყო 1917 წლამდე, როცა ჯერ ამიერკავკასიის სეიმი შეიქმნა, ხოლო მისი დაშლის შემდეგ 1918 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა აზერბაიჯანის მუსავატური, სომხეთის დაშლაკური და საქართველოს მენშევიკური სახელმწიფოები.

1920 წლის აპრილში წითელმა არმიამ ჯერ აზერბაიჯანი დაიკავა, შემდეგ სომხეთი და 1921 წლის თებერვალში რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოშიც ძალით დაამყარეს საბჭოთა წყობილება. სწორედ აქედან იწყება საქართველოს ტერიტორიების დანაწილება. ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ჩამოატარა საინგილო — ზაქათალის, კახის, ბელაქინისა



და ალიაბადის ტერიტორია და აზერბაიჯანს გადასცა. ასევე საქართველოს ჩამოატარეს სიღნაღისა და თბილისის მაზრის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (მათ შორის მთელი დავით გარეჯის უდაბნო). აზერბაიჯანის საზღვარმა საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე ე.წ. „აქლემის გორაზე“ გადმოიწია. მხოლოდ ლენინის გარდაცვალების შემდეგ შეძლეს ქართველმა პატრიოტებმა დავით გარეჯის ტერიტორიის ნაწილის დაბრუნება. 1924 წლის ნოემბერში საქართველოს გადმოეცა დავით გარეჯის მონასტრების ნაწილი, მაგრამ საზღვარი ისე იქნა გაველებული, რომ დავით გარეჯის მონასტრების ნაწილი: „ბურთუბანი“, „დიდი უდაბნო“, „ჩინიტიურის“ კოშკის ქვემოთა სამხრეთის მხარე კვლავ აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩა. ეს დროებითი გამიჯვნა იყო და შემდეგ უნდა დაზუსტებულიყო სასაზღვრო-სადემარკაციო ხოლი, მაგრამ მერე ისე განვითარდა მოვლენები, რომ არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს ამ საკითხზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია. ორივე რესპუბლიკა ერთ დიდ სახელმწიფოში — საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო გაერთიანებული და არავითარ სასაზღვრო დავას არ ჰქონდა ადგილი.

ყველა ისტორიული წყაროს მიხედვით, აქ 25 კილომეტრის სიგრძეზე არსებულ კლდეში ნაკვეთი თუ ქვითკირის ნაგებობანი ერთი დიდი სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში იყო გაერთიანებული და არავის უდავია ამ მონასტრის კუთვნილების შესახებ. ყველა წერილობითი დოკუმენტითა თუ ზეპირი გადმოცემით დგინდება, რომ იგი ქართველების მიერ იყო აშენებული VI საუკუნის შუა წლებიდან. ამას თვით ამ მონასტრების არქიტექტურა, იქ არსებული ლაპიდარული (ქვაზე და კლდეზე დაფიქსირებული) წარწერებიც ადასტურებს.

თუ მაინც ისმის კითხვა, ვის მიერ ან როდის არის აგებული როგორც ჩინიტიურის კოშკი, ისე სხვა სამხედრო თავდაცვით-საფორტიფიკაციო ნაგებობები, ამის შესახებ არსებობს უამრავი წერილობითი წყაროები, სიგელ-გუჯრები, სამეცნიერო ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

1690 წელს დავით გარეჯის მონასტრების წინამძღოლად დაინიშნა დიდი ქართველი მამულიშვილი ონოფრე მაჭუტაძე. მას ისტორიამ დიდი ფუნქცია დააქისრა — აელორძინებინა დავით გარეჯა და იგი გადაექცია არა მარტო სულიერი და მატერიალური კულტურის ცენტრად, არამედ სამხედრო-თავდაცვით სიმაგრედ. მისი წინამძღვრად დანიშნისთანავე ირანელები და თურქოსმალები საგან წაქეხებულმა ლეკებმა რამდენჯერმე დაარბიეს დავით გარეჯა და დახოცეს იქ მოღვაწე სწავლული ბერები. ამიტომ იყო, რომ მაშინდელი ქართლ-კახეთის მმართველმა



წრებმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს და დაიწვეს დავით გარეჯის გამაგრება სამხედრო თვალსაზრისით. სწორედ ონოფრე მაჭუტაძის დიდი მცდელობითა და შეწყვენიტ აშენდა 1695 წელს სათვალთვალ კოშკები და გალავანი, რომელიც გარს ატყვია დავითის ლავრას, ნათლისმცემლის მონასტრს. რაც შეეხება ჩინიტიურის კოშკს, ის აგებული იქნა ყველაზე თვალსაზრისით სტრატეგიულ სიმაღლეზე, რომელიც დავით გარეჯის მონასტრს დაჰყურებს ზემოდან და მტრის მოახლოებისთანავე სპეციალური ცეცხლის ანთებით ამცნობდა სხვა კოშკებს მტრის მოახლოებას.

დავით გარეჯამ უდიდესი როლი შეასრულა, როგორც ქართული კულტურის გადარჩენის, ისე საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის დიდ საქმეში. მთელი შუა საუკუნეები აქ ჩაუქრობელ ლამაზივით ენთო ქართული ცნობიერების შექურა. დავით გარეჯა წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცენტრს, ქართველი მეფეები აქედან იღებდნენ პერსონალურ ომებში ხსნისა და მტერზე გამარჯვების ძირითად რჩევებს და რაც მთავარია — დავით გარეჯა იყო ბასტიონი აღმოსავლური ურდოების შემოსევის შესაჩერებლად, ქართული სახელმწიფო სახსრებს არ იშურებდა დავით გარეჯის მონასტრის აღდგენა-ალორძინებისათვის, ვინაიდან ეს იყო წმინდა-წმინდა ადგილი საქართველოსათვის და რაც მთავარია ქართველ მეფეთა ძვალშესალაგაც. განა შეიძლება ვინმეს ენა მოუბრუნდეს და თქვას: ეს მიწა-წყალი ჩემი საკუთრებაა და ეს მონასტრები ძველმა ალბანელებმა ააშენესო. ეს ბოღვაა და მას პროვოკაციის სუნი უდის.

ვისთვისაა ე.წ. „ჩაკაბის გათავაშება“?!


საღვთო აპარატის ქვითრების გათავაშებით 10, 20, 50, 100, 10 000, 50 000 ლარის მოგების სურვილმა იმდღევარა საგარეჯოელებშიც, მაგრამ... როგორც ჩანს, ნაკლები სურვილი არც საღვთო აპარატის მფლობელებს აქვთ და თუ ადრე საღვთო აპარატის ქვითარს ძალით გადაეღვენ ან პირველს უშეებდნენ ცელო-



ნანა ქურლოვანი

ფანის „პარკებში“, ახლა პირიქითაა, დიდხანს დგახარ და ელოდები, იქნებ როგორმე „გაიხსენოს“ დახლსმდამა მდგარმა და მოგცეს ე.წ. „ჩეკი“. იქნებ შემოგვედოს ვინმე, თავად ინდემწარმე განა რამდენი ქვითრის მონაგებს აიღებს, ხომ „გაიყიდა“ მისი ნამოქმედარი, მაგრამ პრობლემას ვერც ამაში ხედავენ, მაინცდამაინც, თავად არ აიღებს მონაგებს, რადგან სავაჭრო ობიექტი მის სახელზეა გაფორმებული, სხვები ხომ არიან, სხვისი პირადობით, სხვისი დახმარებით აიღებს. თუმცა, მთავარი ავიწყდებათ ამ „მართონში“ ჩაბმულებს, შესაბამისი სამსახურის მუშაკებს არ ავიწყდებათ შემოწმება და ერთ დღესაც 10 ლარის ნაცვლად, იქნებ 10000 ლარიან ჯარიმასაც „გამოჰკრას ხელი“ ინდემწარმე?! ჩვენ კი, მყიდველს, მომხმარებელს ჩეკების გათავაშების მესვეურები გვაფრთხილებენ: „არ აქვს მნიშვნელობა,

რას ვიდულობთ, ან რამდენს ხარჯავთ, მოითხოვეთ ჩეკი და მიიღეთ მონაწილეობა ჩეკების გათავაშებაში“. საგარეჯოელებმა ნანა ქურლოვანიმ ერთ დღეს 10 ლარი მოიგო, მერე დღეს — 20. როგორც ჩანს, იმ მაღაზიაში, სადაც მან კვების პროდუქტები შეიძინა, მომხმარებელთან მართლაც კეთილსინდისიერი მომსახურებაა. ნანა ქურლოვანიმ: შევიძინე კვების პროდუქტი და 1,50 ლარიანი ქვითრით მოვიგე 10 ლარი, ინდემწარმე „მარიამ ქერივიშვილის“ საცხოვში შექმნილი ფუნთუშებით სამლარიანი ქვითარი დამიბრუნეს, რითაც 20 ლარი მოვიგე. ძალიან გამიხარდა, ყოველდღეურად მიწევს საკვები პროდუქტების შექმნა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ქვითრებს ბევრი გამყიდველი აღარ იძლევა. ნინო ჭიბურაშვილი: — შევიძინე „დი-



ნინო ჭიბურაშვილი

როლი“ და როცა ქვითარი გავსინჯე, აღმოჩნდა, რომ 20 ლარი მოვიგე. გივი ჭინჭარძლე: პროდუქტების ყიდვა სხვადასხვა მარკეტებში მიწევს და შეიძლება არ დავაკვირდი, რა შევიძინე იმ დღისით, თანამშრომლებმა გასინჯეს და 20 ლარის მოგება გვიჩვენა ქვითარმა.

მედიკოსების საზოგადოება

ჩემი ბავშვობის ქალაქი



ნელ-ნელა ახლოვდება საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების 50 წლისთავი. ამ 50 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა და შეიცვალა ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისათვის, რისი მომსწრე და თვითმხილველი ბევრი საგარეჯოელია.

ბატონი ომარ კავთუაშვილი ის პიროვნებაა, ვინც თავისი სიცოცხლის 71 წლიდან უმეტესი ნაწილი აქ, საგარეჯოში გაატარა. 1941 წლის 31 მაისს დაბადებულმა საგარეჯოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1967 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა - ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. სამი წელი იმუშავა დნეპროდერჟინსკსა და კალინინში ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1970 წლიდან კი ისევ საგარეჯოს დაუბრუნდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტრესტ „წყალმშენის“ სამმართველოს ბადაურისა და საგარეჯოს უბნებზე მთავარ მექანიკოსად, საგარეჯოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერად, საგარეჯოს ავტოშემკეთებელი ქარხნის დირექტორად, „საქსოფლტექნიკდაამედგელობის“ უფროსად, საგარეჯოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის დირექტორად და ყველგან, რომელ უბანზეც და თანამდებობაზეც კი იმუშავა, ყველგან კეთილსინდისიერი და პატიოსანი კაცის სახელი დატოვა. ყველა ეს თვისებები მისი თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც ეხმარება იყოს ყოველი ადამიანისადმი გულისხმიერი, თავისი ქალაქისა და ყოველივე იმის გულშემატყვიარი, რაც საგარეჯოსთანაა დაკავშირებული. თავისი ამ პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და ქომაგს პირად საუბრებში, თუ ოფიციალურად, ბევრჯერ გამოუთქვამს თავისი მოსაზრებები ქალაქთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

სხვანაირად მოქცევა ალბათ არც შეუძლია, იგი ხომ პირველი საგარეჯოელია, ქალაქის „გულში“ ცენტრში დაბადებული და გაზრდილი. აქ, მის თვალწინ გაიზარდა და დამზუნდა საგარეჯო, მომსწრე ყველა იმ სიკეთისა, რასაც ძველი, ჩამორჩენილი სოფლიდან მიადწია დღევანდელი ქალაქმა, ამიტომაც არის, რომ ასე ეახლოვება, ესათუთება და ეფერება ყველას და ყველაფერს, რასაც საგარეჯო და საგარეჯოელები ჰქვია. ერთი სიტყვით, თუ ვინმეს ეთქმის ამ ქვეყნად, საგარეჯოელი ვარო - ერთ-ერთი მათგანი ბატონი ომარიცაა. საგარეჯოს 71 წლის ცოცხალ „მამიანეს“ ბევრი რამ ახსოვს თავისი ბავშვობისდროინდელი ქალაქის ისტორიდან, აქ გატარებული სიყრმის წლები. თუ როგორი იყო ამ 60-70 წლის წინანდელი საგარეჯო, ამას მასთან შემდგარი ქვემოთმოყვანილი დიალოგიდან შეიტყობთ.

- ჩემი წინაპრები საგარეჯოში XVII საუკუნის ბოლოს, ქართლიდან გადმოსახლებულან. მათი თავდაპირველი გვარი ინაშვილი ყოფილა, მაგრამ, რადგან სოფელ კავთისხევიდან ყოფილან, ადგილის დედის სახელი რომ არ დაეკარგათ, კავთუაშვილებად დაწერილან, - გვიყვება ბ-ნი ომარი. პაპანემის მამა - ესტატე და მისი თანამოგვარები საგარეჯოს სათავის სიახლოვეს, თვალთხევის სანაპიროზე დასახლებულან. ესტატეს ორი შვილი - შაქრო და სონა შესძენია, სონა უფროსი ყოფილა და ინაშვილად დაუწერიათ, პაპანემი კი კავთუაშვილად. ეტყობა გვარის გადარქმევა სონიას დაბადების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

პაპანემს ხუთი შვილი ჰყავდა. მამა-

ჩემი - დათიკო უფროსი ყოფილა. დღევანდელ ცენტრთან სიახლოვეს, ყოფილი სტალინის ქუჩაზე, „ლილეს“ შენობის ადგილზე ვინმე ყანდარელისგან შეუსყიდია პატარა ხის სახლი, სადაც მალე გადმოსახლებულა კიდევ ცოლთან და პატარა შვილთან ერთად. მაგრამ რადგან აქ ადგილს, როგორც ძველები იტყობდნენ, „დაუცლია“ და პატარა ვაჟიშვილი გარდაცვლია, გადაუწყვეტია, სხვა ადგილზე გადასულიყო. მას დღევანდელი აფთიაქის (ავერსი) ადგილზე ქვა-ღორღისაგან გაუწმენდია გორაკის ძირი, მოუსწორებია და გზის პირას ახალი ქვითკირის სახლის შენება დაუწვია, ძველისთვის კი ცეცხლი წაუკიდებია და დაუწვია. ამ ახალ სახლში მოვევლინე ამ ქვეყანას. სულ მალე კი დიდი სამამულო ომი დაიწყო და მამა-ჩემი ომის დამთავრებამდე არ გამიცვინია. ასე გაგვზარდა დედამ ტანჯვა-წვალებით ორი პატარა შვილი. ჩვენ ტყვიდან შეშა-



ფინი მოგვეკონდა, დედა პურს აცხობდა და მეზობელ ქალს ბაზარში აყიდვინებდა. ეს ბაზარი ტერიტორიულად ყოფილი რესტორან „გარეჯისა“ და დღევანდელი სამუსიკო სკოლის ტერიტორიის ნაწილზე იყო განთავსებული. მასხოვს, რომ ამ ბაზარში ხორცი მხოლოდ კვირა დღისით იყიდებოდა ხოლმე. გვერდით იმართებოდა ე.წ. „იარაგები“, სადაც იყიდებოდა ნახშირი ტანსაცმელი და ნივთები. მის სიახლოვეს იყო „დაბახანა“ და საქონლის სასაკლაო. დაბახანაში ახალი ტყავის სანაცვლოდ გვაძლევდნენ გამოყვანილ ტყავს, რომლისგანაც მოსახლეობა ქალამებს „ამონისხამდა“ ხოლმე.

ომის დამთავრების შემდეგ საგარეჯოში დაბრუნებული მამაჩემი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ მალე დედამ ჩემი გარდაცვალება და დავობდით. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ ორგულმა ადამიანმა ისარგებლა მამაჩემის სამუშაოზე არყოფნით და საგარეჯოს „ზაგოზეროს“ საწყობიდან უწმინდად ხორბალი გაიტანა და სულ უდანაშაულო მამაჩემი ციხეში მოჰყვა, საიდანაც ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს.

- თქვენს სიახლოვეს კიდევ ვინ სახლობდა საგარეჯოს ცენტრში, თუ გახსოვთ თქვენი მაშინდელი სამეზობლო?

- როგორ არა. კავთუაშვილების გარდა, აქ სახლობდნენ მარიამ, ტარიელ და თეზიკო მეთიფარიანების მამა-პაპა, დღევანდელი რაიკავშირის შენობის უკან გიორგი ქვლივიძე, აღმოსავლეთის მხრიდან გზის გადასწვრივ მთვარაძეები, ყანდარელები, უფრო მოშორებით მეზვრიშვილები, მჭედლიშვილები, ლაფანიშვილები, ბედიანშვილები, დღევანდელი კულტურის სახლის ტერიტორიაზე სახლობდნენ ტეტიანაშვილები, ძაბილაშვილები, ფირყულაშვილები, რესტორან „გარეჯის“ ადგილზე ლაზაშვილები, ჯავახიშვილები - „ცალთვალა მიხო“ და ბიძინა. განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში „ცალთვალა მიხო“ - შესანიშნავი და ვირტუოზი მუსიკოსი,

რომელიც არაჩვეულებრივად უკრავდა პიანინოს. ქალაქის განაშენიანების შემდეგ ეს გვარები სხვა ადგილებზე გადასახლდნენ. კარგად მასხოვს, როგორ გადაწყვიტეს კომუნისტებმა ჩვენს სამოსახლო ტერიტორიაზე დღევანდელი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. მათ ჩვენი სახლისა და ადგილის სანაცვლოდ მამაჩემს შესთავაზეს სხვა ადგილი და სახლი, მაგრამ მან ადგილზე დარჩენა ისურვა და ამ ახალ „აფთიაქის“ კორპუსში გამოგვიყვანეს ორი ბინა, სადაც დღესაც ვცხოვრობთ. სხვათა შორის, ჩემი ხელით დარგულია ის კაკლის ხე, რომელიც ახლაც დგას აფთიაქისა და ყოფილი ბანკის შენობის წინ.

- თქვენი ბავშვობისდროინდელი ქალაქის შესახებ რა შემორჩა თქვენს მეხსიერებას?

- მამაჩემი საგარეჯო უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. პატარა „ბელეტაჟზე“ წამოსკუპებული კრამიტის-სახურავიანი ფიცრული და ქვიტკირის სახატებით, შემოუღობავი ეზოებითა და ნაკვეთებით. ზაფხულობით ქალაქის ცენტრზე, დღევანდელი ერეკლე II-ის ქუჩაზე ქვით მოპირკეთებულ სანიადვრე არხებში მორაკრაკებდა ცივი წყლები, რომელიც

თან უამრავი სპილენძის ხურდა ფული ჩამოჰქონდა. ეს წყლები საგარეჯოს სათავიდან გამოედინებოდა და ეტყობა იქ საჭიფოდ და გასართობად მისული სტუმრები ყრიდნენ წყალში ამ ფულს, რადგან მიანდათ, რომ ამით ისევ შეძლებდნენ საგარეჯოში დაბრუნებას. ჩვენ, ფეხშიშველად პატარა ბიჭები შეგუყვებოდით ხოლმე ამ არხებს ზევით და ხურდა ფულით ვივსებდით „მაიკის“ უბეებს, რითაც მერე კანფეტებს ვყიდულობდით.

თვითონ საგარეჯოს სათავე იმ დროს გართობისა და დასვენების უმთავრესი კერა იყო, სადაც უქმე და დასვენების დღეებში იმართებოდა კარნავალები, რაც ქვიფითა და პურ-მარლით მთავრდებოდა. თავისი ყინულით ცივი წყლებითა და ბუნებით სათავე მუდამ უხვად იზიდავდა ადგილობრივ თუ სტუმრად ჩამოსულ დროსტარების მოყვარულ ადამიანებს. აქვე იყო წყლის ღრმა აუზი, რომელიც ცივი წყლით ივსებოდა და პატარა ბიჭები სანადლეოზე თავით ვებტებოდით შიგ, თუ ვინ უფრო მეტ ხანს გაძლებდა მასში.

მაშინდელი საგარეჯოელი პატარების საყვარელი გასართობი ადგილი იყო დღე-

ვანდელი კულტურის სახლისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი ბაღი, თავისი ეგზოტიკური მცენარეულობითა და მოქანავე სავარძლებიანი „კარუსელით“, წყლის აუზით, სადაც ბავშვები ზაფხულობით ებანაობდით.

კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში დღევანდელი პირველი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი ბაღი და წყლის საბანაო აუზი. მის ცენტრში კომუნისტებს აღმართული ჰქონდათ პროლეტარიატის ბელადის ძეგლი, რომლის გარშემო მაშინდელი კომკავშირელები და წითელყელსახვევიანი პიონერები აწყობდნენ სხვადასხვა კომუნისტური დღესასწაულების აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებებს. მათი მუშაობის ძირითადი ცენტრი კი რესტორნის ადგილზე აშენებული პიონერთა სასახლე იყო. ბაღის გადასწვრივ, მოპირდაპირე მხარეს გახსნილი იყო დაწყებითი, ოთხკლასიანი სკოლა, სადაც ორი მასწავლებელი ტასო ტაბატაძე (მოჭიდავე ვიცი ტაბატაძის მამიდა) და ბაკიშვილი მუშაობდნენ.

- თქვენც ამ სკოლის აღსაზრდელი ხართ, ასე კარგად რომ გახსოვთ იმდროინდელი ამბავი?

- არა, მე ამ სკოლის მოსწავლე არ ვყოფილვარ. მე ვსწავლობდი საგარეჯოს რვაწლიან სკოლაში, რომელიც დღევანდელი მერე საჯარო სკოლის ადგილას იდგა. აქ ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო არჩილ ქვლივიძე. ეს სკოლა ბელეტაჟზე - ერთსართულიანი იყო, უკანა მხარეს დატანებული ფანჯრებით, საიდანაც გაკვეთილების გასაცდენად ბიჭები პირდაპირ ქუჩაში ვებტებოდით ხოლმე და იმ დროს შემოსული კინოფილმ „ტარზანის“ გავლენით, ყველა „არჩილას ტარზანებს“ გვეძახდა.

სკოლას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა დღესაც არსებული ორსართულიანი შენობა, რომელშიც რაიკომის მდივნები და აღმასკომის თავმჯდომარეები ცხოვრობდნენ.

- იმდროინდელ საგარეჯო და საყოფაცხოვრებო ობიექტებიდან რა გახსენდებათ უფრო მეტად?

- ეს ობიექტები ძირითადად ჩვენი სახლის მოპირდაპირედ, საგარეჯოს ცენტრში იყო განლაგებული, დღევანდელი დასასვენებელი ბაღის ტერიტორიაზე. პურის საცხობი, სტამბა, ფოსტა-ტელეგრაფი, მონკავშირის მაღაზია, დოსაფის საზოგადოება, შემსალარო, ერთმანეთის მიყოლებით სხვადასხვა პატარ-პატარა შენობებსა და „მთვარაძეების“ ყოფილი სახლების სართულებზე იყო განლაგებული.

ჩემს მეხსიერებას დღესაც ნათლად შემორჩა სტამბაში ასაწობ შრიფტებთან მოფუსფუსე, ცხვირზე „სათვალე-ჩამოკოსებული“ პეტრე ნუგეშიძე, ღვინის წერტის გამყიდველი „ძია კოლა“ - თავისი დიდრონი თეთრი უღკვაშებით, კუზიანი „მეხაშე არჩილა“ მთვარაძე, მის მიერ გაკეთებული ხაშის დაუვიწყარი გემოთი, მონკავშირის მაღაზიაში 16 მანეთად ნაყიდი 16 კალიბრიანი სანადირო თოფი, რომლითაც ჩიტებსა და შაშვებს დავევდვით მოსაკლავად თვალთხევისა და ტიკაურაზე ატეხილ ბაღებსა და მაყვლიანებში.

ბივი ლაპახიშვილი
დასასრული შემდეგ ნომერში



26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა! დაიბადდა საქართველოს ორი წელი გარე-კახეთი (1918-1921 წწ.)

**ალექსანდრე ელვარდშვილი,
მწერალი და საზოგადო მოღვაწე
ისტორიკოსი**

საქართველო დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკად 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა და მან დაახლოებით ორწელიწადნახევარი იარსება. მისი მთავარი სულიწამდამდგელი და ბეჭედი ნოე ჟორდანიას იყო. დამოუკიდებელი საქართველოს ასეთი ხანმოკლე არსებობა განპირობებული იყო იმ რთული და საბედისწერო პოლიტიკურ-ისტორიული პირობებით, რაც განაპირობა მაშინდელმა დრამატულმა საშინაო და საერთაშორისო ვითარებამ.

საქართველო თავისი ახლადმოპოვებული დამოუკიდებელი არსებობის პირველი დღეებიდანვე კვამლში გაეხვია. ბოლშევიკები, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიის მოთხოვნით ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის დაშლას, მოთხოვნიდნენ ერთიანი კომუნისტური რუსული სახელმწიფოს შექმნას და საქართველოს მოიაზრებდნენ ამ ერთიან, მრავალეროვნულ სახელმწიფოს ნაწილად. ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომუნისტები საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ახდენდნენ ინციდენტებს და ხელს უშლიდნენ ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს – ერთ მუშტად შეკრულებს ეშენებინათ ჭკუშიარტი ეროვნული, ქართული სახელმწიფო.

იმ დროს, როდესაც მიუღ საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა და შფოთი ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შექმნისათვის, აფხაზეთში, შიდა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, მესხეთ-ჯავახეთში და სხვა რეგიონებში, გარე-კახეთი, საგარეჯოს დღევანდელი სოფლები მშვიდად იყვნენ და გვერდში ედგნენ ნოე ჟორდანიას მთავრობას ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში.

მაშინდელი გარე-კახეთი ადმინისტრაციულად შედიოდა თბილისის გუბერნიის, თბილისის მაზრის, თელავის მაზრის, თიანეთისა და სიღნაღის მაზრების შემადგენლობაში. უშუალოდ დღევანდელი საგარეჯოს რაიონის დიდი ნაწილი თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოს შემადგენლობაში შედიოდა ცენტრით სოფელ სართიჭალათი.

მაშინდელი გარე-კახეთი ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო სასოფლო თემებად. თითოეულ სასოფლო თემს ჰყავდა თავისი თემსაბჭო.

საგარეჯო თავისი სოფლებით 1828 წლამდე შედიოდა თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოში, მაგრამ იმის გამო, რომ სართიჭალის საბოქაულო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, თბილისიდან დაწყებული ჩალაუბნის ხეობამდე, ამიტომ ეს საბოქაულო ორად გაეყვეს: საგარეჯოს და სართიჭალას 1829 წლიდან მართავდა ორი ბოქაული (პრისტავი) ანუ პოლიციის მოხელე – ბოქაული. გარდა ამისა, დიდ სოფლებს მართავდნენ მამასახლისები, პატარა სოფლებს – ნაცვლები.

საქართველოში 1918 წლის 26 მაისიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ადმინისტრაციული მმართველობა კვლავ ისეთივე დარჩა, როგორც ცარიზმის ადმინისტრაციული მმართველობის დროს იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობა ისე მოკლე დროს – ორ წელზე ცოტა მეტ ხანს არსებობდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო დიდი მასშტაბის რეფორმების განხორციელება. ამიტომ იყო, რომ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში დიდი ძვრები არ მოხდარა, არც სახალხო მეურნეობის განვითარებაში შეინიშნებოდა დიდი გარდატეხა.

მიუღ გარე-კახეთში ფუნქციონირებდა ორი სახალხო თეატრი – საგარეჯოსა და ხაშში. რაც შეეხება სახალხო განათლებას, გარე-კახეთში ფუნქციონირებდა 11 დაწყებითი ტიპის სკოლა და ორი, ასევე, დაწყებითი ტიპის სასულიერო სასწავლებელი.

დაწყებითი ტიპის სკოლები ფუნქციონირებდა სოფლებში: კაკაბეთში, მანავში, გიორგიწმინდაში, საგარეჯოში, პატარაქულში, ხაშში, სართიჭალაში, უჯარმაში, მარტყოფში, გომბორსა და ნინოწმინდაში. სასულიერო სკოლები არსებობდა დავით გარეჯის დავითის ლავრასა და მარტყოფში.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში მიუღ გარე-კახეთში არსებობდა ერთი საექმო პუნქტი და ერთი აფთიაქი, სადაც ერთი ექიმი, ერთი ფერშალი და ერთი


თიც პროვიზორი ემსახურებოდა აღნიშნულ სოფლებს, რაც მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას ჯანდაცვის საქმეში. მით უმეტეს, რომ მაშინდელ გარე-კახეთის სოფლებში მძინვარებდა ტროპიკული მალარია, ტიფი და სხვა დაავადებები. მაგალითად, 1918 წლის გაზაფხულზე გარე-კახეთში გავრცელებულმა ტიფის ეპიდემიამ ასეულობით მოქალაქე იმსხვერპლა.

1918-1921 წლებში გარე-კახეთში ვერც სოფლის მეურნეობა და მრეწველობა გამოირჩეოდა თავისი სამეურნეო შედეგებით. სოფლის მეურნეობა დამყარებული იყო დაბალ ტექნიკურ, წვრილგლეხურ, დაბალრენტაბელურ, კარნაკეტულ, ნატურალური შინაარსის წარმოებაზე.

სოფლის მეურნეობაში საკმარისად დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი დრომომულ, ფოლადურ, სამონასტრო-საეკლესიო მიწათსარგებლობის ფორმებს. 1918-1921 წლებში დავით გარეჯის წმინდა დოდოს და იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრები საგარეჯოში, ხაშში და მანავში ფლობდნენ ვენახის დიდ ზურებს, წისკვილებს და წარმოების სხვა საშუალებებს, მაგამ მათი მეთოდიც მიწისმფლობელობისა იყო ფოლადური და ნახევრადფოლადური, რაც მეურნეობრივი წარმატების არავითარ სტიმულს არ იძლეოდა. იგივე ითქმის ცნობილი ფოლადების: ანდრონიკაშვილების, ჩერქეზიშვილების, მავაშვილების, ჩოლოვაშვილების მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ტრადიციულ ფოლადურ ფორმებზე, რომლებიც თავის მიწებს მხოლოდ იჯარით ასხვისებდნენ, როგორც ქართველებზე, ისე ეთნიკურად არაქართველებზე.

რაც შეეხება ადგილობრივ მრეწველობას, გარე-კახეთში – უჯარმაში გლაუბერის მარილის მწარმოებელი ქარხანა ჰქონდა მოსკოველ, რუს მეწარმეს ბახმეტიევს, რომელიც უჯარმაში ადგილობრივ ნედლეულზე აწარმოებდა მინის წარმოებისათვის საუკეთესო კომპონენტს – გლაუბერის მარილს.

კაპიტალისტური წარმოება წამოიწყო ბადიაურში მემამულე მალხაზ ანდრონიკაშვილმა. მან მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროზე ააგო 150 ცხენისძალიანი



სურათში: ნიკოლოზ ჟორდანიას შვილი, რომელიც მე-11 რუსულ არმიას 1921 წელს საგარეჯოში შემოუძღვა


ჰიდროელექტროსადგური, რის ბაზაზეც ააშენა თანამედროვე ელექტროსადგური. ასევე ხაშში ინჟინერმა არჩილ ბილანიშვილმა „ცივანანათ ბაღში“ ააშენა 130 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური, ხოლო მის ბაზაზე ელექტროსადგური. მაგრამ ყოველივე ეს ზღვაში წვეთი იყო, შესაძლებლობები კი ბევრი.

გარე-კახეთში არსებობდა მრავალი წვრილი – აგურის, კრამიტის, ქვევრებისა და საყოფაცხოვრებო ჭურჭლის მწარმოებელი წვრილი საწარმო ქარხნები, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, გიორგიწმინდასა და კაკაბეთში.

1918-1921 წლებში საქართველოში შექმნილმა დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მცირე ხანს, ორწელიწადნახევარს იარსება, მაგრამ 1921 წლის თებერვლის თვეში საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ იარაღის ძალით დაამხო ახლადშექმნილი ქართული დამოუკიდებელი ხელისუფლება და საქართველო კვლავ შეიერთა. ქართველმა საზოგადოებამ და მისმა მოწინავე ნაწილმა დიდი მსხვერპლი გაიღო მისი შენარჩუნებისათვის. მათ შორის იყვნენ საგარეჯოელები, ნინოწმინდელი, პატარაქულელი, გიორგიწმინდელი პატრიოტებიც, მაგრამ ნათქვამია: „ძალია აღმართს ხნაფსო“. საქართველო 70 წლის განმავლობაში კვლავ „თავისუფლად ერთა მძლე კავშირის“ მარწუხებში მოექცა.

საქართველოს ჭკუშიარტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ათასობით ქართველი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის არიან გარე-კახელი გულდამწვარი პატრიოტებიც, რომელთა სახელებიც მოწამებული იყვნენ – სიკვიდშიც კი დევნილები იყვნენ. ისინი უსახელოდ განისვენებენ სისხლით მორწყულ ქართულ მიწაში. ესენი იყვნენ საგარეჯოელი: გარსიაშვილები, ლაფანიშვილები, მჭედლიშვილები, გილაშვილები, გიორგიწმინდელი: გულისაშვილები, ჭიაბერაშვილები, ბურჯანაძეები, ნინოწმინდელი: შოშვილები, როსტომაშვილები, პატარაქულელი: ყუშიტაშვილები, ელვარაშვილები, ჯილაურები, ხაშშიელი: ნახუცრიშვილები, იმედაშვილები, ჭიაბრიშვილები, ნიკოლაშვილები, სართიჭალელი: მათიაშვილები, გენჯაშვილები, სიბოშვილები, მარტყოფელი: მათიაშვილები, შინჯიკაშვილები, მანაველი: დუჩიძეები, მათიაშვილები, უამრავი გარეკახელი – სხვანი და სხვანი, რომელთა სულები მარადიული საქართველოდან ღოცულობენ საქართველოს აღორძინებისათვის, რათა საქართველოს სახელი არ გაქრეს მსოფლიოს ხალხთა პანთეონიდან.

ჭაბუკად დარჩა მარად ბიბლა ბუზარიაშვილი



18 წლის წინ საგარეჯოს ქუჩებში დადიოდა ახოვანი, ლამაზი, ქართული გუნის საუკეთესო გამოვლინება – ახალგაზრდა ვაჟკაცი, რომლის მსგავსი ფიზიკური თუ სულიერი სილამაზით ქართველებს თავი მოგვწონს, მომავალი გვეიმედება, ცხოვრებას გვილამაზებს.

სულ 22 გაზაფხულს მიუწვრო, მაგრამ თავისი პიროვნებით, სპორტული მიღწევებით ღრმა კვალი დატოვა ჭიდაობის სამყაროში, ნაცნობ-მეგობრების, აღმზრდელების წრეში. სასახელო, ერთმანეთზე უკეთესი სამი ვაჟკაცი აღუზარდეს ქვეყანას საგარეჯოელმა თემურ და დოდო ბუზარიაშვილებმა – უმცროსი პაატა, შუათანა გიგლა და უფროსი მამა რამაზი – სამივე ჭიდაობის სამყაროში ცნობილი პიროვნებები. ქართული ჭიდაობის, ხოლო შემდეგ სამბოს საიდუმლოებებს ეზიარა შუათანა მამა გიგლა ბუზარიაშვილი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საგარეჯო-

მართალთა შინა ნიაღვი

ელი როინ ჟორდანიას შვილის დახმარებით, ხოლო შემდეგ უფროსი ძმის რამაზის ინიციატივით გიგლამ ძალები მოსინჯა და საკმაოდ წარმატებულად – თავისუფლად ჭიდაობაში (აქვე აღვნიშნავთ, რომ გიგლას უფროსი ძმა რამაზი თავის დროზე იყო ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი). გიგლას სპორტული მიღწევები უფრო და უფრო იზრდებოდა, გახდა თავის წონაში საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების წევრი, ყველა ელთა მისგან მსოფლიო მასშტაბის მიღწევებს, რომ არაის საბედისწერო 1994 წლის 5 სექტემბერი, ამ დღეს გიგლა 22 წლის ასაკში დაიღუპა ავტოავარიის შედეგად. მისი სახით საქართველომ დაკარგა ერთ-ერთი პერსპექტიული მოჭიდავე, რომელსაც ყველა მონაცემი ჰქონდა დიდ სპორტში ადგილის დამკვიდრებისათვის. გიგლა იმდენად ძლიერი იყო ფიზიკურად, ტექნიკურად, რომ „ფეხში შესვლა“ მასთან თითქმის შეუძლებელი იყო. მსოფლიოს ჩემპიონმა, ამჟამად საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოადგილემ დავით გობეჯიშვილმა თბილისში ფალავანთა კლუბში ერთობლივი ვარჯიშისას გიგლას მოყვრებით შეარქვა „გრძელხელემა მაიმუნი გიბონი“! (გიბონი მაიმუნთა მოდგმაში ერთ-ერთი უძლიერესი ჯიშია).

აი, რას იხსენებენ გიგლაზე ის ადამიანები, რომლებიც გიგლას იცნობდნენ:

ნინელი ქვლივიძე – საგარეჯოს II საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი, გიგლა ბუზარიაშვილის პედაგოგი: – გიგლა გამოირჩეოდა არა მარტო არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემებით, არამედ თავისი კეთილი ბუნებით, სიღარბისლით, სამართლიანობით. იგი იყო და დარჩება სკოლის ისტორიაში, ამხანაგების, პედაგოგების, ნაცნობ-მეგობრების სსოვნაში როგორც სამაგალითო პიროვნება.

გია ბედიასვილი – საგარეჯოს სპორტული გაერთიანების უფროსი: – სამწუხარო ფაქტია, რომ მხოლოდ 22 წელი იცოცხლა საგარეჯოს ჭიდაობის აღიარებული სკოლის ერთ-ერთმა შესანიშნავმა წარმომადგენელმა, უადრესად პერსპექტიულმა მოჭიდავემ გიგლა ბუზარიაშვილმა, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნოა ის გარემოება, რომ მის ხსოვნას დავიწყება არ უწვრია. წელს პირველად ჩატარდა მისი მემორიალი და მომავალში ფიქრობთ იგი ტრადიციული და უფრო წარმომადგენლობითი გავხადოთ. საგარეჯოში სისტემატიური ხასიათი მიიღო გამოჩენილი მოჭიდავეების მემორიალის და სახელობითი ტურნირების ჩატარებამ, რომელიც ნორჩი ტალანტების გამოვლინების საუკეთესო საშუალებაა.

ბუზამ მკვლელობილი

ჩემო კეთილო და კარგო კაცო გურამ!



გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა ნათელაში ამყოფოს შენი სული. მართალია, მეხვეწებოდა მეორე დღესვე გამომეყვი, უშენოდ იქ ვერ გავძლებო, მაგრამ უკვე 12 წელი გავიდა და ჯერ კიდევ ვაპირებ შეილთაშვილებთან ყოფნას. შენ უკვე დიდი ბაბუა ხარ – გყავს სამი შეილთაშვილი: ნიკუშა, ანა და ლაზარე. მეთოხეს მალე ველოდებით. ილოცე მათთვის.

მეუღლე ნათელა ჭანტურია-მკვლელობილი

ვილოზა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს **გონა (გეგნია) ჩიქაიანიშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში და გახარებას თავის ღამაზე ოჯახთან ერთად.

გაზეთ „გარემოს მაცნე“

რედაქცია

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის უფროსს ქალბატონ **ნინო ქუხუშუს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და ახალ-ახალ წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

გაზეთ „გარემოს მაცნე“

რედაქცია



ჩვენს საყვარელ მეგობარს, პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე პედაგოგს, იორ-მუდანლოს ქართული ენის სახლის ადმინისტრატორს **ეთერ კატარაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

ეთერ, ჯანმრთელობა, წინსვლა, სიკეთე, წარმატებები, სურვილების ასრულება, სიხარული და ღმერთის მფარველობა არ მოგაკლებოდეს ცხოვრების გზაზე. მრავალი ბედნიერი დღე შეგმატებოდეს!!!

სულ წინ და წინ გველოს, დამსახურებულად.

შენი მეგობრები: ნატო და შორენა ბოთაძეები და ბიორბი პარლიაშვილი

ასეს ხლება



ჩვენს მეგობრები ქართველი ბიჭია. იცის ვინ არის, საიდან მოდის მისი ფესვები და ისიც იცის, მისგან, როგორც ქართულ მიწაზე, ქართული ივენანითა და ნინოს ჯვრით გაზრდილ ქართველისაგან რას მოითხოვს დედა-სამშობლო. ამიტომაც მისი ყოველი დღე, ყოველი საათი

16 მაისს საგარეჯოს მიხეილ ჭიკაურელის სახელობის სახალხო თეატრში ახალი სპექტაკლის „ოჯახური იდილია“ პრემიერა შედგა. რეჟისორმა და სცენარისტმა ნიკა საბაშვილმა თავისი ნიჭითა და ჩანაფიქრით კიდევ ერთხელ მოიგო საგარეჯოელი მაყურებლის გული. გასულ წელს, მაისის თვეში მან და საგარეჯოს სახალხო თეატრის დასმა მაყურებელს სპექტაკლი „ცხოვრება მშენებელია“ შესთავაზა, რომელმაც მართლაც დიდი მოწონება დაიმსახურა – რეჟისორსა და სცენარისტს სახელი და პატივისცემა მოუტანა, დასის წევრებს – მაყურებლის სიყვარული და მადლიერება, საგარეჯოელი მაყურებელს კი იმედი ხვალისა, რომ თეატრს ღური დასი კვლავაც დააინტერესებს და ღამაზად შესთავაზებს მაყურებელს თავის თეატრალურ შესაძლებლობებს. მოლოდინი დიდი იყო და დადებითად განწყობილი.

მოლოდინი რომ მართლაც სერიოზული იყო, ამას თეატრში მოსული მაყურებლის დარბაზში მოწონებები, სერიოზული მოქცევაც მოწმობდა. ასეთი დარბაზი ალბათ ათეული წლებია არ უნახავს საგარეჯოს – ყველა თავის ადგილს მოითხოვდა, განსაკუთრებული ყურადღებით და სიზუსტით.

დარბაზი სულგანაბრული ადევნებდა თვალყურს სპექტაკლს, თითოეული გმირის მოქმედება, მოძრაობა არ რჩებოდა რეაგირების გარეშე. სიყვარულით, აპლოდისმენტებით შეხვდნენ მათთვის საყვარელი მსახიობების შემოსვლას სცენაზე. ოღონდ გაწონასწორებული, მოხობილი ოვაციებით. თითქმის ერთი ამოსუნთქვით მიჰყვა სცენაზე განვითარებულ მოვლენებს და როცა დამთავრდა, მართლაც რომ მქუხარე ტაშით, უამრავი ყვავილებით დააჯილდოვეს საყვარელი მსახიობები: მთავარი როლის შემსრულებელი პაატა ქვლივიძე (გურამი), მარინა შიოშვილი (ელენე), ირაკლი ლიპარტიელი (ლეკო), მარიამ ფავლენიშვილი (სალომე), მიშა ხოკერაშვილი (მერაბი), ნანული ბილანიშვილი (ლიანა), ბესიკ ღვინაშვილი (ანდრო), ნათელა დიდმელაშვილი (ეკიმი), გიორგი მალაზხოვი (ტაქისი მძღოლი), დევი ქვლივიძე (სახიძი), ნინო ღვინაშვილი (მათხოვარი), ფატი მდივანი (მერაბის მეუღლე). მაყურებელთა ერთმა ნაწილმა კი პირდაპირ სცენას მიაშურა და იქ მსახიობებთან გამოხატა თავისი ემოციები. მართლაც დარბაზის, სცენის შემხედ-

თეატრი, დანი, დარბაზი

პრემიერა, რომლის უღმა



სცენა სპექტაკლიდან

ვარე ფიქრობ და რწმუნდები, რომ საგარეჯოელებს ძალზე მონატრებიან ნამდვილი სპექტაკლის, ნამდვილი შემოქმედებითი ძალების თავდაუზოგავად შექმნილი დასვეწილი თეატრალური ქმნილების, დას, ქმნილების მიწოდება, რომელიც ჩვენი თეატრალური დასის თითოეული წევრის მართლაც არტისტიზმამდე მიყვანილმა შესაძლებლობებმა მაისის იმ ღამაზე დღეს შესთავაზა გარეჯოელებს – თვალნათლად დაანახა ერთი ოჯახის იდილია, სადაც ფული ქცეულა ოჯახის თითოეული წევრის საოცნებო და ცხოვრების აზრად, ოჯახის უფროსების მისწრაფება – მოიპოვონ ფული ყველანაირი საშუალებით – თავის დამდაბლებით, თუნდაც თავიანთი საფიცარი გოგონას მამის „თანამდებობაზე“ ანგარებით გათხოვებით. ამზრუნვანდ ისმის „ფული, ფული, ფული“, გეცოდება და შეცოდებას ზიზღი ცვლის უკვე მთავარი გმირის გურამის (მსახიობი პაატა ქვლივიძე) გამონახვას, რომელსაც ცოლ-შვილი ისე უსუფთავეს ჯიბეებს და ისეთი დამამცირებელი ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგებს, რაც ქართველი კაცის სულში ადრე არ ყოფილა. თუმცა დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს შორის ასეულაობით გურამია, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით მართლაც კარგად აცხოვრებენ ოჯახებს და იქნებ თავს შემოდანაც გადმოგხედონ. სწორედ ეს გათვალა ახალგაზრდა რეჟისორმა და ქართველი კაცის დღევანდელი დრამატულ-

კომედიური მდგომარეობა მოგვიტანა სცენაზე ღამაზად, დახვეწილად. თუმცა, შეიძლება ვინმე შემომედაოს – რა დრამატულობაზე ლაპარაკობო. სპექტაკლში მხოლოდ ერთგან არის დრამატული მომენტი, როცა სალომე მშობლებს ეხსუება – სულ ფული, ფული გაგიდით და შეილის ბედი, მისი სიყვარული არ გაინტერესებო. მასაც მას შემდეგ გაუჩნდა ფულის მიმართ პროტესტის გრძობა, როცა თავის სიყვარულს ამოუბნენ და ანგარებით – მამის თანამდებობის მისაღებად მადალნი-ნონის შეიღებ ათხოვებდნენ. სპექტაკლისეული გურამიც და ჩვენს რეალობაშიც მყოფი ის ასეულაობით გურამი მართლაც რომ დრამატულია საქართველოსათვის...

სპექტაკლს თავისებური შტრიხები შემატა საგარეჯოს სახალხო თეატრის მხატვრის თამარ იორამაშვილის ნიჭი და შემოქმედებითმა უნარმა – სცენა ჩვეულებრივი ქართველი მეზობლების ეზოს წარმოადგენდა თავისი სახლებითა და ეზოს ატრიბუტიკით.

ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში თქვენთან შესახვედრად სპექტაკლის მთავარი როლის შემსრულებელსა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს პაატა ქვლივიძეს მოვიწვევთ. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება მისი საუბარი – იუმორით გაჯერებული. ☺

ერთ დღეს დაკარგული ორი ჩიქაიანიშვილი

დაგეგმილია – სად, როგორ, რაწინად უნდა გახარჯოს. ძალიან უყვარს ფეხბურთი. საგარეჯოს ფეხბურთელთა გუნდ „გარეჯის“ (9-10 წლიანთა) წევრია. სიამაყით მიყვება კახეთის ჩემპიონატზე მეორე ადგილი რომ დაიკავეს მან და მისმა თანაგუნდელებმა. ისე, მისი საყვარელი ფეხბურთელი, „ბარსელონას“ თავდამსხმელი, მეათე ნომერი მესია. თვითონ ნახევარდაცვაში უწევს ხშირად თამაში, წვრთნის დროს საგარეჯოს სტადიონზეც, შეჯიბრებებზეც და როცა თოხლიაურში უბანი უბანს ვჯობდება, ან უბრალოდ თამაშობენ. კარატეზეც დადიან, ვერ წარმოუდგენია კაცი, რომელსაც უბრალო იღეთები მხოლოდ თავისი თავის დასაცავად მაინც არ ეცოდინება.

სკოლაშიც დატვირთული პროგრამა

აქვთ, უკვე მეხუთეკლასელები არიან და მეტი მოეთხოვებათ. საგნებიც მომამტათ წინა წლებთან შედარებით, მოთხოვნილებაც მეტია ქართულშიც, მათემატიკაშიც, აინგლისური კი მართლაც განსაკუთრებულად შეაყვარა კლასის დამრიგებელმა თინა გრატიაშვილმა. მათთვის, მეხუთეკლასელებისათვის თინა მასწავლებლის მიერ საინტერესოდ გადმოცემული მასალა ადვილად დასამასსოვრებელიცაა და თანაც ბოლოს და ბოლოს ინგლისურის მასწავლებელი ხომ მათი დამრიგებელიცაა, ამიტომაც შეიყვარა ყველამ თურმე ეს საგანი.

ხანდახან პირველ მასწავლებელს მიაკითხებენ, თუმცა მას ახლა სხვა თაობა ჰყავს, მათთან ისე არიან, როგორც უმცროს და-ძმებთან, მეგობრობენ, პატრონობენ.

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

31 მაისის მოსვლას დათუნა დიდი სიხარულით ელის. 11 წელი უსრულდება და მამა ახლაც დაუთმობს „ბურთს და მოედანს“. რას იზამს უფროსი ჩერქეზიშვილი?! ცხოვრებაში ასეც ხდება! ☺